

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი



აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი
მარიამ უშარიძე

კომერციული ბანკის საკრედიტო რისკი და მისი მართვის მეთოდები
ბიზნესის ადმინისტრირება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ჰამლეტ სანიკიძე ,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტი , ასისტენტი

ხიჭაური

2020

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი აგებულია საკრედიტო რისკის არსზე და მისი მართვის მეთოდებზე, სადაც განხილული გვაქვს საკრედიტო პორტფელის რისკის მართვის ანალიზი სს „ ვითიბი ბანკის“ მაგალითზე, რომლის რიცხოვრივი მონაცემებიც წარმოდგენილია გრაფიკულად, იმისათვის, რომ ყველა მაჩვენებელი იყოს შედარებითი და მარტივად აღქმადი. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გარი მარკოვიცის პორტფელურ თეორიასა და მის გამოყენებას ოპტიმალური საბანკო პორტფელის ფორმირებაში. განხილულია, ოპტიმალური პორტფელის ფორმირების მათემატიკური მოდელი, რომლის მიზანია საინვესტიციო აქტივების კომბინირება მომგებიანობისა და რისკის გათვალისწინებით. გარდა ამისა განვიხილავთ რისკების მართვის სტრატეგიებს, თუ რა გზებით შეიძლება შევამციროთ პორტფელური რისკები.

Abstract

Topic which is going to be approached next is built on the idea credit risk and the methods of its management, where we tackle the analysis of the management of credit portfolio risk on the example of VTB Bank, numbers of which are presented in the graphic, to make all data easier to access. The main attention of the work is on the portfolio theory of Harry Markowitz and it's usage in creating an optimal bank portfolio. In work it's reviewed the mathematical method of creating the optimal portfolio, the aim of which is to combine investment activities taking into account profitability and risks. Besides abovementioned, work tackles strategies of risk management – what are the ways to decrease portfolio risks.

შინაარსი

| | |
|---|-----------|
| შესავალი | 5 |
| თავი I. აქტივების პორტფელის მართვის თეორიული საფუძვლები | 6 |
| 1.1 გარი მარკოვიცის პორტფელური თეორია | 6 |
| 1.2 საკრედიტო რისკი, როგორც ფინანსური დანაკარგების ძირითადი მატარებელი..... | 11 |
| 1.3 პორტფელური საკრედიტო რისკის მართვის მეთოდები | 15 |
| თავი II. საკრედიტო რისკის მართვის ანალიზი ვითიბი ბანკის მაგალითზე..... | 18 |
| 2.1 ვითიბი ბანკის მოკლე ისტორიული ექსკურსი, ორგანიზაციული სტრუქტურა და ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები..... | 18 |
| 2.2 ვითიბი ბანკის საკრედიტო ოპერაციები და საკრედიტო რისკის მართვის მეთოდოლოგია | 26 |
| თავი III. საკრედიტო პორტფელის რისკის მართვის მეთოდების სრულყოფა | 32 |
| 3.1 ბანკის საკრედიტო პორტფელის მართვის სრულყოფის გზები | 32 |
| 3.2 მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გავლენა საკრედიტო პორტფელის რისკზე | 39 |
| დასკვნა | 48 |
| გამოყენებული ლიტერატურა | 50 |

შესავალი

იმის გამო, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ბიზნესის აქტივობა შემცირდა ბაზარზე, ამ ფაქტმა გამოიწვია ვადაგადაცილებული სესხებისა და საბანკო ვალდებულებების ზრდა, რამაც გაზარდა ფინანსური დანაკარგი და გამოიწვია რისკის კოეფიციენტის მატება, ამის საფუძველზე აუცილებელი გახდა, შემუშავებულიყო რისკის მართვის მეთოდები, რაც კომერციული ბანკებისთვის წინ გადადგმული ნაბიჯია ამ რისკის აღმოსაფხვრელად და შესაბამისი რისკის კოეფიციენტის შესამცირებლად, ამ ყველაფერმა კი, დამატებით, საბანკო სფეროში გამოიწვია კონკურენციის ზრდაც იმ მიზნით, რომ ბანკმა მოიძიოს და შეინარჩუნოს საიმედო მომხმარებელი, ამიტომაც საკრედიტო და საფინანსო ორგანიზაციები გაცილებით მეტ ყურადღებას ამახვილებენ საბანკო რისკების ანალიზზე.

პირველ რიგში აუცილებელია წინასწარ იქნეს იდენტიფიცირებული მოსალოდნელი რისკი, რათა საბანკო სექტორს ჰქონდეს საშუალება მოახდინოს გარკვეული სახის რეაგირება და ნაწილობრივ მაინც ეცადოს რისკის თავიდან აცილებას, ამ სფეროში სხვადასხვა სახის მეთოდების შემუშავება და მათი გაუმჯობესება დაეხმარება ბანკს საკრედიტო პორტფელის რისკის რეგულირებასა და ფინანსური მდგომარეობის განმტკიცებაში. თუ, რა თქმა უნდა, საკრედიტო რისკის მართვის მეთოდი იქნება შემუშავებული სრულფასოვნად, მოგვეცემს მოგების შემოსავალსაც რისკის გარკვეულ დონეზე. ხოლო, იმისათვის, რომ რისკის მართვის მეთოდი იყოს მაქსიმალურად მომგებიანად შემუშავებული, უნდა დაეყრდნოს, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ მაგალითებს.

ამ ნაშრომის მიზანი წარმოადგენს მოცემული საკითხის სიღრმისეულად გაცნობას და როგორც ეკონომიკური, ასევე ფინანსური კუთხით დასაბუთებას, რაც მოგვეცემს საკრედიტო რისკის შეფასების საშუალებას.

მოცემულ თავებში ეტაპობრივად არის გამახვილებული ყურადღება ყველა იმ ინფორმაციაზე, მაჩვენებელსა თუ მეთოდებზე, რაც ნათლად გვაძლევს საშუალებას წარმოვიდგინოთ საკრედიტო რისკის არსი, თემის მიზანი და აქტუალობა საბანკო სფეროში.

თავი I. აქტივების პორტფელის მართვის თეორიული საფუძვლები

1.1 გარი მარკოვიცის პორტფელური თეორია

პორტფელის ოპტიმიზაცია არის მნიშვნელოვანი მიმართულება ფინანსებში, პორტფელის ოპტიმიზაციის მიზანს წარმოადგენს შემოსავლების მაქსიმიზაცია და იმავდროულად რისკების მინიმიზაცია .

პორტფელის ოპტიმიზაციის ერთ-ერთი გზა და მნიშვნელოვანი თეორია ეკონომიკასა და ფინანსებში შემოგვთავაზა გარი მარკოვიცი. გარი მარკოვიცი იყო ცნობილი და გამორჩეული ამერიკელი ეკონომისტი, ის დაიბადა ჩიკაგოში 1927 წელს . მისი მიღწევებისა და ეკონომიკურ მეცნიერებაში შეტანილი წვლილის საფუძველზე კი , ის გახდა ნობელის პრემიის ლაურეატი 1990 წელს.

მარკოვიცი - პორტფელური ინვესტიციების თეორიის ავტორი, მის პორტფელურ მოდელში ის იყენებს მათემატიკურ ლოდინს. მისი მეთოდით თუ მივუდგებით ინვესტიციებს, მაშინ შეგვიძლია ავირჩიოთ ოპტიმალური აქტივების პორტფელი მოგებისა და რისკის გათვალისწინებით.

პორტფელური თეორიის ჩამოყალიბებამდე , ინვესტირების პროცესს არაერთი ნაკლი ახასიათებდა , განიხილავდნენ მხოლოდ ტრადიციული ფინანსური ინსტრუმენტების (ობლიგაციების, აქციების) მიმოქცევასა და შემოსავლიანობას, ხოლო არანაირი ყურადღება არ ექცეოდა რისკებსა და მის გამომწვევ მიზეზებს .

დღეს პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება მარკოვიცის და მისი მოწაფეების მოდელები ფასიანი ქაღალდების პორტფელის ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირებისთვის . მან 1951 წელს , პირველად შემოგვთავაზა ფასიანი ქაღალდების პორტფელის ოპტიმალური სტრუქტურის პოვნის მათემატიკური ფორმულირება.

გარი მარკოვიცის თეორია 40 წელზე მეტია რაც აქტუალურად გამოიყენება პორტფელის მოდელირებისათვის . 1952 წელს ფინანსურ ჟურნალში „ The Journal of Finance” (Markowitz , March 1952) გამოქვეყნდა სტატია პორტფელის შერჩევა („Portfolio selection”) , რომელიც პორტფელის ფორმირების საინვესტიციო მიდომის საფუძველს წარმოადგენს, მან აქ პირველად შემოგვთავაზა ოპტიმალური პორტფელის ფორმირების მათემატიკური მოდელი და გვაჩვენა მეთოდები, თუ

როგორ უნდა აიგოს გარკვეულ პირობებში პორტფელი . ის საკუთარ თეორიას მუდმივად აუმჯობესებდა და 1959 წელს გამოსცა პირველი მონოგრაფია „პორტფელის შერჩევა: ინვესტიციების ეფექტური დივერსიფიკაცია” (“Portfolio Selection : Efficient Diversification of investment”) .

პორტფელური ინვესტიციების არსი მოიცავს ფინანსური აქტივების დაბანდებას ფასიანი ქაღალდების პორტფელის მიზნისა თუ ამოცანების ფორმირებისთვის.(M.B.Скрипниченко.2016).ეს არის იმ წესების ერთობლიობა, რომელიც გვებმარება საინვესტიციო პორტფელის შექმნაში გარკვეული მახასიათებლებით, როგორცაა თუნდაც რისკი და შემოსავალი.

პორტფელის არჩევის პრობლემის კლასიკური ფორმულირება ეხება ინვესტორს, რომელმაც უნდა შეარჩიოს ეფექტური პორტფელი, რაც წარმოადგენს მოსალოდნელი სარგებლისოპტიმალურ კომბინაციას და სტანდარტულ გადახრას .

პორტფელური თეორიის ძირითადი მიზანი და ამოცანაა იპოვოს აქტივების ისეთი კომბინაცია, რომელიც მაქსიმალურად მიახლოებული იქნება ეფექტურობის ზღვართან, ანუ საინვესტიციო აქტივები კომბინირებული იქნება მომგებიანობისა და რისკის გათვალისწინებით.

იმისთვის, რომ მივიღოთ ამ ტიპის აქტივების შერწყმა და შევექმნათ ყველაზე ეფექტური საინვესტიციო პორტფელი, მათემატიკური გამოთვლებისთვის უნდა გავაერთიანოთ ისეთი მონაცემები, როგორცაა სტანდარტული გადახრა, მოსალოდნელი (საშუალო) მომგებიანობა და აქტივების კორელაცია.

სტანდარტული გადახრის დროს ვიღებთ საშუალო შემოსავალს აქტივებზე, რომელიც უნდა გავზომოთ, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მიმართულებით, სწორედ ამ გადახრის ზომა არის სტანდარტული გადახრაც და რაც უფრო მაღალია ის მით უფრო მეტია ფასების ცვლილებაც, შესაბამისად აქტივი, რომლის სტანდარტული გადახრა მაღალია უფრო რისკიანაცაა.

საშუალო არითმეტიკული მომგებიანობა - ეს არის აქტივების შემოსავლების საშუალო ღირებულება, რაც თავის მხრივ იყოფა საშუალო გეომეტრიულ და საშუალო არითმეტიკული მომგებიანობებად. გამოთვლებით კი შეგვიძლია გავიგოთ, რომ საშუალო გეომეტრიული მომგებიანობის კოეფიციენტი ნაკლებია ვიდრე საშუალო არითმეტიკულის.

საშუალო არითმეტიკული მომგებიანობა გამოიანგარიშება მარტივი საპროცენტო განაკვეთით:

საშუალო გეომეტრიული მომგებიანობა - გამოიანგარიშება რთული საპროცენტო განაკვეთის ფორმულით

კორელაცია - არის ურთიერთობა ორ ან მეტ სტატისტიკურად მნიშვნელოვან მოცულობას შორის.

კორელაციის მაქსიმალური სიდიდე არის +1,

მინიმალური სიდიდე -1 ;

თუ კორელაცია +1-ის ტოლია, მაშინ სიდიდე სინქრონულად მოძრაობს და ამ ტიპის კორელაცია იდეალურად დადებითია, ხოლო თუ კორელაცია -1-ის უტოლდება, მაშინ სიდიდეები ერთმანეთის საწინააღმდეგოა, კორელაცია კი უარყოფითი.

ამრიგად, მანამ სანამ მივიღებდეთ გადაწყვეტილებას საინვესტიციო პორტფელის ფორმულირების შესახებ, აუცილებელია ჩატარდეს ანალიტიკური შეფასება.

საინვესტიციო პროცესი თავის მხრივ წარმოადგენს ინვესტორების გადაწყვეტილების მიღებას ფასიანი ქაღალდების შესახებ, რომელშიც ხორციელდება ინვესტიციები.

ინვესტიციების პროცესის ძირითადი პროცედურა მოიცავს 5 ეტაპს:

- 1) საინვესტიციო პოლიტიკის არჩევა;
- 2) ფასიანი ქაღალდების ბაზრის ანალიზი;
- 3) ფასიანი ქაღალდების პორტფელის ფორმირება.;
- 4) ფასიანი ქაღალდების პორტფელის გადახედვა;
- 5) ფასიანი ქაღალდების პორტფელის ეფექტურობის შეფასება.

გარი მარკოვიცის თეორიის ძირითადი იდეა არის ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტების მიერ მიღებული მომავალი შემოსავალი, იქნეს სტატისტიკურად განხილული და, თუ გარკვეულწილად შესაძლებელია შემთხვევით განისაზღვროს თითოეული საინვესტიციო ობიექტის გამოვლენის გარკვეული ალბათობა, შესაძლებელია მივიღოთ შემოსავლების მოპოვების ალბათობა თითოეული ალტერნატიული ინვესტირებისთვის, რა მეთოდმაც „ალბათური ბაზრის მოდელის“ დასახელება მიიღო. იმისთვის, რომ ეს მოდელი ყოფილიყო უფრო გამარტივებული,

მარკოვიცი მიიჩნევდა, რომ შემოსავალი აუცილებლად უნდა გადანაწილებულიყო თანაბრად (გაუსის განაწილება).

პორტფელის საერთო რისკი შეიძლება დაიყოს ორ კომპონენტად:

- 1) სისტემური (საბაზრო) რისკი, რომელსაც ყველა ფასიანი ქაღალდი ფაქტობრივად თანაბრად ექვემდებარება და რომლის გამორიცხვაც არ შეიძლება;
- 2) ინდივიდუალური რისკი, რომელსაც შეიძლება თავი ავარიდოთ დივერსიფიკაციის დახმარებით, თუმცა ამ დროს ყველა ობიექტში ინვესტირებული თანხები უნდა უდრიდეს საერთო ინვესტიციების მთლიან მოცულობას, ანუ საერთო მოცულობის თანხის წილი უნდა გაუტოლდეს ერთს.

გ. მარკოვიცის მიდგომით ინვესტორს დროის მოცემულ მომენტში აქვს ინვესტირებისთვის საჭირო კონკრეტული თანხა, რომელიც დაბანდებული იქნება დროის გარკვეული პერიოდში, რასაც ეწოდება ფლობის პერიოდი(периодом владения/holding period), პერიოდის ბოლოს კი ინვესტორი ყიდის ფასიან

ქაღალდებს, რომელიც ამ პერიოდის დასაწყისში იყო შეძენილი და ის იყენებს მიღებულ შემოსავალს საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ან ახდენს რეინვესტირებას სხვადასხვა ფასიან ქაღალდებში (ან ორივეს ერთად).

გადაწყვეტილების მისაღებად მარკოვიცის მიდგომა საშუალებას იძლევა გათვალისწინებულ იქნეს ორივე მიზანი. ხოლო ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნის არსებობა საჭიროებას ქმნის ჩატარდეს დივერსიფიკაცია ერთი ან რამდენიმე ფასიანი ქაღალდის შეძენის შემთხვევაში.

მარკოვიცის მოსაზრებით, ინვესტორმა უნდა გაითვალისწინოს შემოსავლიანობის დონე. ის ამტკიცებდა, რომ ინვესტორმა პორტფელის შერჩევის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მოსალოდელი სარგებლისა და სტანდარტული გადახრის საფუძველზე, ანუ ინვესტორმა უნდა შეაფასოს ნებისმიერი პორტფელის მოსალოდნელი შემოსავლიანობა და სტანდარტული გადახრა და მხოლოდ ამის შემდეგ სხვადასხვა რისკის გათვალისწინებით აარჩიოს საუკეთესო მათგანი, რომელიც იქნება მისთვის შესაფერისი.

მარკოვიცის მოდელის მიხედვით განისაზღვრება მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებს ინვესტიციების მოცულობასა და რისკს, რაც საშუალებას აძლევს

შედარდეს სხვადასხვა ალტერნატიული ინვესტიციები და ამით შექმნას სხვადასხვა კომბინაციის შესაფასებელი მასშტაბები.

მეთოდოლოგიის თვალსაზრისით, მარკოვიცის მოდელი შეიძლება განისაზღვროს, როგორც ნორმატიული. მოდელის ამოცანაა, გვაჩვენოს თუ რამდენად მიღწევადია დასახული მიზნები პრაქტიკაში

1.2 საკრედიტო რისკი, როგორც ფინანსური დანაკარგების ძირითადი მატარებელი

რისკი არის არასასურველი მოვლენის ალბათობისა და შედეგების კომბინაცია, რომლის დადგომამ შეიძლება, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გავლენა მოახდინოს. ის იზომება საფრთხის ან შესაძლებლობების წარმოქმნის ალბათობით და სიდიდით, რომელიც მის მიზანზე ახდენს გავლენას.

ამიტომაც მნიშვნელოვანი ხდება რისკის საწინააღმდეგო ღონისძიებათა ერთობლიობის გამოყენება და მოსალოდნელი შედეგის ან მოვლენის თავიდან აცილება.

საფრთხეებს თუ განვიხილავთ, შესაბამისად უნდა დავადგინოთ მისი მიზეზებიც, რაც შეიძლება იყოს გამოიწვეული შიდა და გარე ფაქტორებით. შიდა ფაქტორები იწვევს საფრთხის შემცველ რისკებს, ორგანიზაციის, კომპანიის თუ კორპორაციის მიერ დაშვებული შეცდომების შედეგად.

გარე ფაქტორებს კი განეკუთვნება ისეთი რისკები, რაც კავშირშია კლიენტებთან კონიუნქტურის ცვლილებასა და მათ ვალდებულებთან, რამაც შეიძლება ფინანსური დანაკარგი გამოიწვიოს.

რისკის ღონის მიხედვით მოცემული ფაქტორები შიდა და გარეა:

- ზომიერი რისკი;
- საშუალოზე დაბალი რისკი;
- მისაღები რისკი;
- ძალიან მაღალი რისკი;
- საშუალო რისკი;
- მაღალი რისკი;
- მიუღებელი რისკი;
- კრიტიკული რისკი;
- გაზრდილი რისკი;

რისკი ზომიერად ითვლება, როცა მისი ზომა არის 0-ის დონეზე, ხოლო სესხის დანაკარგი ან სავარაუდო მოგება 25%-ს უტოლდება.

მაღალია რისკი, როდესაც დანაკარგი მერყეობს 25-50 %-ის ფარგლებში.

ძალიან მაღალია რისკი, როდესაც მისი დანაკარგი შესაძლებელია 50-75 %- ის ფარგლებში იყოს.

ხოლო კრიტიკულად ჩაითვლება ისეთი რისკი, როდესაც ზარალი მიაღწევს 75%- იდან 100 %-მდე ნიშნულს.

ბანკის, როგორც მომგებიანი საწარმოს ფუნქციონირება ფულის მიმოქცევის სფეროში, რომელიც მიისწრაფვის მაქსიმალური შემოსავლის მისაღწევად დაკავშირებულია მრავალრიცხოვან რისკებთან, ამიტომაც მისი რისკი არასდროს არ არის ნულის ტოლი, რის გამოც ბანკი ვალდებულია დაგეგმოს, აწონ-დაწონოს რისკი და გამოსახოს მისი ალბათობა პროცენტის სახით.

თითოეულ ბანკს საკუთარი საკრედიტო პოლიტიკა აქვს, ის საბანკო სექტორის ხელმძღვანელობას ანიჭებს უფლებამოსილებას განახორციელოს გარკვეული ფინანსური ოპერაციები, სადაც ბანკების წესები და პირობებია გაწერილი, რომელიც დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, როგორცაა მაგალითად ბანკის მიზანი, მისი განვითარების სტრატეგია, ბანკის მთლიანი შემოსავალი და მისი თანამშრომლების პროფესიონალიზმის დონეც კი.

ბანკის საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიზანია მაქსიმალური მოგების მიღება რისკის მინიმალური დონით.

ფაქტია, რომ ეკონომიკის ყველა სფერო მოიცავს რისკს, მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბანკის საქმიანობა ორიენტირებულია რისკზე, რადგან მისი ძირითადი ბიზნესი წარმოადგენს სესხების გაცემასა და აღებას, სესხები კი ყველაზე მაღალ რისკიანი პროდუქტია, რომელსაც შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი მოაქვს.(zedda Stefano_2017)

საბანკო რისკი არის აქტივებისა და შემოსავლების დაკარგვის საშიშროება (ალბათობა) და დამატებითი ხარჯების წარმოქმნა წამგებიანი ფინანსური ოპერაციების გამო, რაც შესაძლებელია იყოს კავშირში შიდა და გარე ფაქტორებთან.

იმისათვის, რომ შეიქმნას საბანკო რისკების მართვის სისტემა, საჭიროა მათი კლასიფიკაცია, ყველაზე პირველი და მნიშვნელოვანი რისკი შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ არის ფინანსური, რადგან ნებისმიერი კომერციული ბანკი ფუნქციონირებს ფინანსების ხარჯზე, საბანკო საქმიანობაში კი აღნიშნული რისკი დაკავშირებულია გაუთვალისწინებელ დანაკარგებთან. მოცემული რისკი წარმოიქმნება ფინანსური

გარიგებებისა და მეწარმეობის ფონზე, სადაც ფასიანი ქაღალდები, ვალუტა და სხვა წარმოადგენს მეწარმეობის ობიექტს.

შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საკრედიტო რისკი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მთავარი ფინანსური რისკია. ეს არის საშიშროება იმისა, რომ მსხესხებელმა არ დააბრუნოს საერთოდ ან დროულად მის სახელზე არსებული ვალდებულება, თუმცა საკრედიტო რისკის მიზეზი არ არის მხოლოდ კლიენტი, აღნიშნული შესაძლებელია გამოიწვიოს, როგორც ქვეყნის ეკონომიკურმა მდგომარეობამ, რაც კლიენტის გადახდისუნარიანობის შემცირების ერთ-ერთი ფაქტორია.

მისი წარმოქმნის მიზეზად კი შეგვიძლია დავასახელოთ ის, რომ მსესხებლები მომავალი ფულადი ნაკადით ცდილობენ უკვე არსებული ვალდებულებები გადაიხადონ და დაფარონ იგი სრულიად ან ნაწილობრივ, რაც რა თქმა უნდა უხანგრძლივებთ პერიოდს და აძლევთ საშუალებას დააგროვონ დამატებით მოცემული ვალდებულებების დასაფარი თანხა, ან გადაანაწილონ გარკვეულ პერიოდზე და მინიმალური შენატანების სახით, ეტაპობრივად შეავსონ გამოყენებული თანხის ლიმიტი, თუმცა პრაქტიკაში არ არის გარანტია იმისა, რომ კლიენტი აუცილებლად შეძლებს დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები და ამასთან ერთად, პარალელურად იქონიოს საარსებო წყარო, შესაბამისად ესეც გარკვეული რისკია, რაც იწვევს გადაუხდელობასა და ვადაგადაცილებებს.

საკრედიტო რისკის უკიდურეს გამოვლინებად შეგვიძლია მივიჩნიოთ დეფოლტი - ანუ საკრედიტო შეთანხმების პირობების შეუსრულებლობა, ამიტომაც პირველ რიგში, დანაკარგთან ასოცირდება საკრედიტო რისკი, რომელიც მსესხებლის დეფოლტთანაა დაკავშირებული.

თავდაპირველად, საკრედიტო რისკის შეფასება შემოიფარგლებოდა სესხის ნომინალური ღირებულებით, შემდგომში ამ შეფასებამ მოიცვა უკვე საკრედიტო პროდუქტის ღირებულება.

საკრედიტო რისკ-მენეჯმენტის განვითარება განაპირობა შიდა საბანკო მოდელების დანერგვამ, ამ გზით ბანკები ცდილობენ პორტფელური მიდგომის გამოყენებას საკრედიტო რისკის სამართავად.

საკრედიტო რისკის მართვის პროცესი გულისხმობს მის ხარისხობრივ და რაოდენობრივ შეფასებას :

ხარისხობრივი შეფასება - გულისხმობს მსესხებლის კრედიტუნარიანობას.

საკრედიტო რისკის რაოდენობრივი შეფასების თანამედროვე მეთოდი კი არის „Value at Risk”(VaR) „რისკის ღირებულების“ მეთოდი.

ამიტომაც პორტფელის დონეზე რისკის შეფასებისას გამოიყენება ეს მიდგომები, რაც ითვალისწინებს დეფოლტის შემთხვევაში რისკის შემოქმედების შეფასებასა და დანაკარგის დონეს.

საკრედიტო რისკი ძირითადად ვლინდება იმ მომენტში, როდესაც კონტრაგენტი საკრედიტო ურთიერთობების წევრი ხდება, როგორც მსესხებელი. რადგან კომერციული ბანკის საკრედიტო რისკი არის საბანკო საქმიანობის მნიშვნელოვანი სახე, შეგვიძლია აღვნიშნოთ ისიც, რომ ბანკის საკრედიტო პორტფელი აქტივების დაახლოებით 50-70%-ს შეადგენს. შესაბამისად, საბანკო სექტორში საკრედიტო რისკს გადამწყვეტი გავლენა აქვს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საბანკო რისკების მართვის პროცესის დროს მნიშვნელოვანია საკრედიტო რისკის მართვის ეფექტურობა. კაპიტალის ზომა, რომელსაც ბანკი ინარჩუნებს რეზერვის სახით იმისათვის, რომ შეძლოს საკრედიტო რისკის დროს გამოწვეული დანაკარგების საწინააღმდეგოდ გამოყენება, ჩვეულებრივ სხვა სახის საბანკო რისკის სარეზერვო კაპიტალზე მეტია.

1.3 პორტფელური საკრედიტო რისკის მართვის მეთოდები

ნემისმიერი ეკონომიკური პროცესის აუცილებელ და შემადგენელ ნაწილად შეგვიძლია მივიჩნიოთ რისკის მართვა, რადგან მისი ზომა ორგანიზაციის შემოსავლებზე ახდენს გავლენას. იმისათვის, რომ რისკის მართვა იყოს ეფექტური უნდა გავითვალისწინოთ სამი ეტაპისგან შემდგარი პროცესი, ესენია : რისკის იდენტიფიცირება, შეფასება და ანალიზი;

- ❖ რისკის მართვა;
- ❖ რისკის კონტროლი.

რა თქმა უნდა, რომ შევძლოთ ხარისხის მიხედვით რისკის განსაზღვრა და მართვა, დასაწყისისთვის უნდა მოვახდინოთ რისკის სისტემატური გამოვლენა და უკვე შემდგომ მისი შეფასება, ამ დროს კი ვსწავლობთ რისკის, როგორც სტრუქტურას ასევე თვისებებს, რათა სამომავლოდ შევძლოთ აუცილებელი ინფორმაციის მიღება მისი ცვლილებების შესახებ.

იმისათვის, რომ მოვახდინოთ რისკების იდენტიფიცირება, აუცილებელია შევისწავლოთ:

- ❖ საფრთხეები, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს შედეგის მიუღებლობა;
- ❖ რისკების მიერ გამოწვეული ზარალი ორგანიზაციაში;
- ❖ რისკების გაზრდის ან შემცირების ფაქტორები.

მას შემდეგ, რაც იდენტიფიცირების ხარჯზე გამოვავლენთ სხვადასხვა სახის რისკებს, უნდა მოხდეს მათი შეფასება, რის დროსაც ვახდენთ უკვე მის დახარისხებას და შესაბამის ქვეჯგუფში განაწილებას.

პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ ორგანიზაციაში უნდა განხორციელდეს მისი მართვის მეთოდები. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ რისკის მართვა მოიცავს ყველა იმ რისკს, რომელიც ორგანიზაციაში იყო, არის ან იქნება, ამიტომაც დღეისთვის თუ არა, სამომავლო შედეგისთვის რისკი უნდა აღმოიფხვრას, შემცირდეს ან გადაეცეს სხვა დაწესებულებას, ანუ იქნეს ჰეჯირებული.

ბოლოს კი განვიხილოთ რისკის მართვის მესამე ეტაპი, ანუ რისკის კონტროლი, რა დროსაც იგეგმება, ორგანიზდება და ხორციელდება სპეციალური ღონისძიებები, რაც გვეხმარება მნიშვნელოვანი, საიმედო და დროული ინფორმაციის მიღებაში.

საკრედიტო პორტფელის რისკის რეგულირების სისტემის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს მასთან დაკავშირებული დანაკარგების თავიდან აცილება ან მათი მინიმიზირება/შემცირება, ეს კი გულისხმობს იმას, რომ ყველა ბანკს უნდა ჰქონდეს საკუთარი სტრატეგია შემუშავებული, იმისთვის, რომ გამოიყენონ ბანკის შესაძლებლობები და დროულად და მაქსიმალურად შეძლოს მოსალოდნელი რისკების თავიდან აცილება.

საკრედიტო პორტფელის რისკი წინასწარ უნდა იქნეს შეფასებული, რისთვისაც უნდა გამოიყენონ მაჩვენებლის სისტემა, ხოლო საკრედიტო პორტფელის რისკის მართვის ძირითადი მომენტი არის კრედიტის საერთო ღირებულება და მისი ხარისხის შეფასება.

საკრედიტო პორტფელის რისკის მართვის მეთოდები შემუშავებულია საბანკო პრაქტიკის საშუალებით:

- 1) დივერსიფიკაცია
- 2) ლიმიტირება/შეზღუდვა
- 3) დარეზერვება

დივერსიფიკაცია - რისკის შემცირების ყველაზე გამართლებული და ნაკლებად ხარჯიანი გზაა, რომელიც წარმოადგენს კაპიტალის გადანაწილებას სხვადასხვა ინვესტირებად ობიექტებს შორის. ის გამოიყენება არასისტემატიზებული, უარყოფითი რისკების გასანეიტრალებლად და სისტემატიზებული რისკების შესამცირებლად. დივერსიფიკაციის მიზანია დაყოს/გაანაწილოს რისკები და ამგვარად აიცილოს თავიდან.

ლიმიტირება დასაწყისშივე შეგვიძლია ორი მიმართულებით განვიხილოთ:

- 1) პირველი მიმართულება ეფუძნება კომერციული ბანკების მიერ დადგენილ ნორმატივებს/წესებს.

2) მეორე კი შიდა საბანკო შეზღუდვებზეა დაფუძნებული

დარეზერვებას რაც შეეხება, ისიც არანაკლებ მნიშვნელოვანი მეთოდია საბანკო სისტემაში, რადგან ბანკის დონეზე ეხმარება რისკის შემცირებაში და ემსახურება, როგორც დეპოზიტორებს, ასევე კრედიტორებსა და აქციონერებს. ერთის მხრივ ეს ეხმარება ბანკს საერთო ჯამში მისდამი მომხმარებლები იყვნენ განწყობილები ნდობით და ჰქონდეთ სტაბილურობის შეგრძნება. იმისთვის, რომ ბანკმა მაქსიმალურად თუ არა, ნაწილობრივ მაინც შეძლოს რისკის თავიდან აცილება ფინანსური თვალსაზრისით მაინც, აუცილებელია წინასწარ ან პარალელურად შეიქმნას შესაბამისი რეზერვი. რაც ბანკს დაიცავს ფულადი რესურსის დაკარგვისგან. კრედიტის გადაუხდელობის დროს რეზერვი იქნება ბუფერი და რეზერვიდან მოხდება კრედიტის დანაკარგის ანაზღაურება. თუ სარეზერვო „ფონდი“ არ არის შექმნილი თანხა საბანკო კაპიტალიდან უნდა ანაზღაურდეს.

მანამ სანამ შეიქმნება ე.წ. სარეზერვო „ფონდი“, აუცილებელია კრედიტების კლასიფიცირება, საკრედიტო პორტფელის შეფასება და რისკების განაწილება შესაბამის ჯგუფებში.

თავი II. საკრედიტო რისკის მართვის ანალიზი ვითიბი ბანკის მაგალითზე

2.1 ვითიბი ბანკის მოკლე ისტორიული ექსკურსი, ორგანიზაციული სტრუქტურა და ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ საქართველოს ერთ-ერთი ძველი და მდიდარი ტრადიციების მქონე ბანკია, რომელიც დღევანდელი ფორმით, მისი წინამორბედი სამი სახელმწიფო კომერციული ბანკის (“ინდუსტრიაბანკის“, “ექსიმბანკის” და “შემნახველი ბანკის”) შერწყმის შედეგად, 1995 წელს შეიქმნა, თუმცა მისი თავდაპირველი სახელწოდება იყო „გაერთიანებული ქართული ბანკი“.

აღნიშნული ბანკი უნივერსალური საბანკო ინსტიტუტია და მომხმარებელს თანამედროვე კომერციული საბანკო პროდუქტების სრულ სპექტრს სთავაზობს.

„ვეტებე ჯგუფი“ რუსული წარმოშობის საერთაშორისო ფინანსური ჯგუფია, რომელიც მსოფლიოს სამ კონტინენტზე (ევროპა, აზია, აფრიკა), 20-ზე მეტ ქვეყანაში ოპერირებს. „ვეტებე ჯგუფი“ ფინანსური საქმიანობის მდიდარი ტრადიციებისა და გამოცდილების მატარებელია და საფინანსო ბაზრებს, სადაც იგი წარმოდგენილია, სთავაზობს საცალო და კორპორატიული საბანკო პროდუქტების სრულ სპექტრს, ხოლო გაყიდვებს რაც შეეხება, მას დაახლოებით 1000-მდე გაყიდვის წერტილი გააჩნია.

2005 წლის დასაწყისში მოლაპარაკებების დასრულების შემდგომ „ვნიშტორგბანკი“, სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ უმსხვილესი აქციონერი გახდა და შეიძინა აქციათა საკონტროლო პაკეტი- 50%+1 აქცია.

2006 წლის 27 მარტიდან 7 ივლისამდე სს „გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა“ გრანდიოზული სადეპოზიტო წამახალისებელი გათამაშება ჩაატარა. ამ გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად საჭირო იყო აღნიშნული ბანკის ნებისმიერ ფილიალსა და სერვისცენტრებში კლიენტს გაეხსნა ნებისმიერი ტიპის დეპოზიტი, იქნებოდა ეს ვადიანი, გაერთიანებული, ზრდადი თუ საბავშვო. მონაწილეთაგან გამოვლინდა 100 გამარჯვებული, რომელთაც გადაეცათ სხვადასხვა სახის პრიზი.

12 დეკემბერს „გაერთიანებულ ქართულ ბანკს“ გადაერქვა სახელი და ეწოდა სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“. ამ დროისათვის ბანკის მნიშვნელოვანი აქციონერები არიან დახურული სააქციო საზოგადოება „ბანკი ვეტებე“ (53.17%) და ევროპის

რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)- (18.87%).(<https://vtb.ge/ge/about-the-bank/history-and-development?year=2006>)

2007 წლის 14 თებერვალს საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Fitch Ratings-მა სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ გრძელვადიანი საკრედიტო მაჩვენებელი „B“-თი შეაფასა, პროგნოზით სტაბილური, რაც ნებისმიერი ფინანსური ინსტიტუტისათვის მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს და მისი სანდოობის გარანტიას უზრუნველყოფს.

2007 წლის 19 ივლისს საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Fitch Ratingsმა სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ რეიტინგი “BB”-მდე გააუმჯობესა. ასეთი მაღალი შეფასება მიუთითებს ბანკის საოპერაციო გარემოსა და დაფინანსების პარამეტრების გაუმჯობესებაზე.

Fitch Ratings-მა სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ რეიტინგი გააუმჯობესა ასევე შემდეგ კატეგორიებში:

- გრძელვადიანი რეიტინგი “B”- დან “BB”-მდე ;
- მხარდაჭერის რეიტინგი „4“-დან „3“-მდე ;
- მოკლევადიანი რეიტინგი - „B” ;
- ინდივიდუალური რეიტინგი - „D”.

2008 წლის დეკემბრისთვის „ ბანკმა ვეტებემ “ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ კაპიტალში თავისი წილი 77,57%-მდე გაზარდა. ასევე 18 დეკემბერს საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Fitch Ratings-მა სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ დაუდასტურა საკრედიტო რეიტინგები. ბანკს გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი „B+“ მიენიჭა, აღნიშნული რეიტინგი საქართველოს მთავრობის საკრედიტო რეიტინგს უტოლდება და უმაღლესია საქართველოში მოქმედ ბანკებს შორის.

2009 წლის ნოემბრისთვის სს „ბანკ ვეტებეს“ აქციათა საკონტროლო პაკეტებმა 87,07%-ი შეადგინა, ხოლო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) წილმა 7,57%-ს.

27 აგვისტოს Fitch Ratings-მა ბანკის განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა, ვითიბის რეიტინგი “B+“ -დან “BB”-მდე გაუმჯობესდა და დაუდგინდა კატეგორია „სტაბილური“.

2010 წლის 12 აპრილს ბანკმა მომხმარებელს მაღალ შემოსავლიანი სეგმენტისთვის გათვლილი ახალი ტიპის საბანკო მომსახურება - VTB PrivateBanking შესთავაზა, რომელიც ორიენტირებულია მსხვილი კორპორატიული კლიენტების მომსახურებაზე.

9 აგვისტოს „ვეტეზე ბანკმა“ EBRD-სგან შეიძინა სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ 7 730 073 აქცია.

2011 წელს ვითიბი ბანკში დაინერგა ახალი, მოქნილი და მომხმარებელზე მაქსიმალურად მორგებული საკრედიტო პროდუქტები: სწრაფი ავტოსესხი, ექსპრეს იპოთეკა, უნივერსალური იპოთეკა.

საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Fitch Ratings-ის 4 მარტს გამოქვეყნებული მონაცემებით ვითიბი ბანკის გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი “BB”-ით განისაზღვრა, პროგნოზი „სტაბილური“ შეიცვალა პროგნოზით „პოზიტიური“.

2011 წლის ფინანსური მონაცემებით:

- ბანკის აქტივები 26,6%-ით გაიზარდა და 429 მლნ ლარი შეადგინა;
- საკრედიტო პორტფელი 31.2%-ით გაიზარდა და 304 მლნ ლარი შეადგინა;
- ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები გაიზარდა 47.2%-ით;
- იპოთეკური სესხები + 241,6%-ით;
- საოპერაციო მოგება გაიზარდა 53,2%-ით და 19მლნ ლარს გადააჭარბა.

მთლიან აქტივებზე უკუგებამ 2,7%, ხოლო უკუგებამ საკუთარ კაპიტალზე 15.6% შეადგინა, რაც შეეხება ბანკის მოგებას, ის 10,2 მლნ ლარი იყო. (<https://vtb.ge/ge/about-the-bank/history-and-development?year=2011>)

2012 წლის დეკემბერს ვითიბი ბანკში დაინერგა ახალი პროდუქტი - ექსპრეს განვადება, რომლის საშუალებითაც კლიენტებს მიეცათ შესაძლებლობა ისარგებლონ

მოკლევადიანი სწრაფი სესხით და ვითიბი ბანკის პარტნიორ ობიექტებში შეიძინონ სხვადასხვა სახის სასურველი ტექნიკა.

2013 წელს ბანკმა ბაზარზე გამოიტანა ახალი პროდუქტი, საკრედიტო ბარათი “VTB Credit Card” წარმოადგინა, რომლის მთავარ უპირატესობას დაბალი საპროცენტო განაკვეთი და გადახდის მოქნილი პირობები წარმოადგენდა. ასევე ყველა სახელფასო კლიენტს შესთავაზა ახალი ინოვაციური საკრედიტო პროდუქტი - Online Credit. ონლაინ სესხის მიღება შესაძლებელია როგორც ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდზე განთავსებული განაცხადის შევსების საფუძველზე, ასევე ქოლ ცენტრის მეშვეობითაც, ამ პროდუქტის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ კრედიტის მიღება დღის ნებისმიერ მომენტში, უმოკლეს პერიოდშია შესაძლებელი.

2014 წელს ბანკმა მომხმარებელს არაერთი ხელსაყრელი და საინტერესო აქცია შესთავაზა. ერთ-ერთია, მაგალითად, სამომხმარებლო სესხების გაერთიანება, რომელიც ითვალისწინებდა სხვა ბანკებში არსებული სესხების გაერთიანებასა და ყოველთვიური გადასახდელი თანხისა და საპროცენტო ხარჯის შემცირებას.

რაც შეეხება მცირე და საშუალო ბიზნესის მფლობელებს, მათ „ექსპრეს სესხი“ შესთავაზა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია მინიმალური დოკუმენტაციის წარდგენით სულ რაღაც 45 წუთში.

2015 წელს ვითიბი ბანკმა მომხმარებელს ორი სახის, დისკონტური და საპროცენტო, სადეპოზიტო სერტიფიკატი შესთავაზა. სადეპოზიტო სერტიფიკატი ანაბრებს შორის ყველაზე მაღალი სარგებლის მიღების საუკეთესო საშუალებაა. საბანკო ანაბრისგან განსხვავებით, სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელს, უფლება აქვს გაასხვისოს ის ვადის ამოწურვამდე ნებისმიერ დროს.

ვითიბი ბანკმა კლიენტებს შესთავაზა უკონტაქტო გადახდის პროდუქტები :

- Mobile Pay-პირველი უკონტაქტო გადახდების აპლიკაცია ;
- Pay Sticker-ინოვაციური გადახდის საშუალება, რომელიც ეკრობა როგორც მობილურ ტელეფონს, ასევე სხვა ნებისმიერ ნივთს და ხდება შესაძლებლობა ანგარიშწორება ტერმინალთან სტიკერის მიახლოებით;

2016 წელს ჩატარდა აქციები სამომხმარებლო და იპოთეკურ სესხებზე, ფულად გზავნილებზე, ახალ ავტომობილებზე პარტნიორ ავტოდილერებთან ერთად.

2017 წელს ვითიბი ბანკმა პირველად საქართველოში თავის პრემიუმ კლიენტებს შესთავაზა MASTERCARD- ის ყველაზე პრესტიჟული ბარათი - WORLD ELITE , რომელიც ზახს უსვამს მფლობელის მაღალ სტატუსს, კეთილდღეობასა და საქმიან რეპუტაციას.

ამ პერიოდის განმავლობაში არაერთხელ გაიმართა სხვადასხვა სახის გათამაშებები, რომლის გამარჯვებულებსაც გადაეცათ, როგორც ფულადი, ასევე სხვადასხვა ტიპის წამახალისებელი პრიზები.

ყველაფერთან ერთად, არ შეგვიძლია, არ აღვნიშნოთ ისიც, რომ ვითიბი ბანკი არაერთი პროექტის სპონსორია. ის მხარს უჭერს, როგორც სპორტის, ასევე კულტურისა და სოციალური სფეროს განვითარებას და აქტიურად აფინანსებს აღნიშნულ აქტივობებს საქართველოში. ბანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებს შორისაა რუსთაველისა და თელავის დრამატული თეატრები, გრიბოედოვის სახ. თეატრი, ტანვარჯიშის ეროვნული ფედერაცია, რაგბისა (2014-2016წ) და წყალბურთის ეროვნული ნაკრები, ცხენოსნობის ფედერაცია და სხვა.

ვითიბი ჯგუფის მმართველობის სისტემის ჩამოყალიბება მიმართულია ვითიბი ჯგუფის უპირატესობის მაქსიმალურად გამოყენებაზე, რომ მან გაზარდოს მიზნობრივ ბაზრებზე მისი წილი, გააუმჯობესოს მისი ეფექტურობის მაჩვენებლები და აამაღლოს ვითიბი ჯგუფის კაპიტალიზაციის დონე.

მართვის მოდელი გულისხმობს ვითიბი ჯგუფში კომპანიის განვითარების ერთიანი სტრატეგიის არსებობას, ერთიან ბრენდს , ფინანსური ეფექტურობისა და რისკების ცენტრალიზებულ მართვას, ანგარიშებისა და დაგეგმვის პროცესების კოორდინაციას, ურთიერთქმედებათა ფოკუსირებას, რათა გაზიარებული იქნეს გამოცდილება და შემუშავდეს ერთიანი სტანდარტები.

ვითიბი ჯგუფში გამოიყენება „სტრატეგიული ჰოლდინგის“ მოდელი, რომელიც პირველ რიგში გულისხმობს ერთიან სტრატეგიულ ხედვას.

ყველა ბანკს უნდა ჰქონდეს შექმნილი ისეთი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც დაეხმარება მას რისკების ეფექტიანად მართვაში, რაც აუცილებლად უნდა მოიცავდეს რისკების მართვის სამსახურსა და მართვის კომიტეტს.


ვითიბი ჯგუფში მოქმედებს მართვის მატრიცული სისტემა, რომლის მიხედვითაც მართვა ორი მიმართულებით ხორციელდება:

- 1) ადმინისტრირებული მართვა - შვილობილი კომპანიების მართვა ვითიბი ჯგუფის საორგანიზაციო სტრუქტურის ფარგლებში.
- 2) ფუნქციური მართვა - ბიზნესისა და სხვა ფუნქციური მიმართულებით.


ვითიბი ჯგუფში ძირითადად გამოიყენება კორპორატიული მართვა ანუ ბანკის უფლებათა რეალიზაცია. მართვის დამატებით მექანიზმს წარმოადგენს ფუნქციური კოორდინაცია, ბიზნეს მხარდაჭერის მიმართულებისა და კონტროლის ჩათვლით (მაგალითად რისკების მართვა, დაგეგმვა, აუდიტი და სხვა).

ფუნქციური კოორდინაცია ბანკს ეხმარება გამოცდილების გაზიარებაში კომპანიებს შორის, რაც რესურსების გაერთიანების საშუალებას იძლევა პროექტის რეალიზაციისთვის. (<http://vtb.ge/>)

დანართი:



გრაფიკი 1 : სს „ვითობი ბანკის“ ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები



გრაფიკი 2 : სს „ ვითიბი ბანკის “ მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება (ათას ლარში)

2.2 ვითიბი ბანკის საკრედიტო ოპერაციები და საკრედიტო რისკის მართვის მეთოდოლოგია

ვითიბი ბანკი სთავაზობს საკუთარ მომხმარებელსა და ნებისმიერ მსურველს ისარგებლოს სასურველი საკრედიტო პროდუქტით მისთვის სასურველი პირობებითა და მომსახურებით.

როგორც ფიზიკურ ასევე იურიდიულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საჭირო და მისაღები შეთავაზება მათთვის მოსახერხებელ დროს.

ვითიბი ბანკი გამოირჩევა საკრედიტო პროდუქტების ფართო სპექტრით, მომხმარებელს შეუძლია ისარგებლოს სხვადასხვა დანიშნულების სესხებით, მაგალითად იქნება ეს სამომხმარებლო, იპოთეკური, ავტო, სწრაფი თუ ბიზნეს სესხი. თუმცა ეს არ არის ბანკის პროდუქტების სრული სია, დაინტერესებულ პირებს კიდევ სხვა მრავალი მომსახურების მიღება შეუძლიათ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ სესხებს სხვადასხვა დანიშნულება აქვს, შესაბამისად ისინი გაიცემა შესაბამისი მიზნობრივობით.

ერთ-ერთი სესხი, რომელიც ყველაზე მოთხოვნადი პროდუქტია ბანკში და არაერთი დანიშნულებით გაიცემა არის სამომხმარებლო სესხი, როგორც წესი ის მცირე მოცულობისაა და მოკლევადიან პერიოდზეა გათვლილი და მისი მიზნობრიობა მრავალფეროვანია, რაც შეიძლება გაიცეს სამოგზაუროდ, სარემონტო სამუშაოების დასაფინანსებლად, თუ სხვა პირადი მიზნებისთვის.

სესხის მიზნობრიობა გათვალისწინებულია სესხის ხელშეკრულებაში, ამიტომაც არამიზნობრივი სესხით მიღებული თანხა შესაძლებელია გაიხარჯოს საკუთარი შეხედულებისამებრ განსხვავებით მიზნობრივი სესხებისგან, რომელთაგან ყველაზე გავრცელებულია:

1. იპოთეკა - არის გრძელვადიანი ტიპის სესხი, რომლის სამუშაოებითაც კლიენტს შეუძლია შეიძინოს საცხოვრებელი ფართი, ავტოფარეხი ან სავაჭრო ობიექტი. მოცემული სესხი საბანკო-საფინანსო სისტემაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, ამ დროს მსესხებელი ხდება უძრავი ქონების მფლობელი შეზღუდული უფლებებით, შესაბამისად სათანადო უფლებების

გარეშე შეუძლებელია კონკრეტული ფართის გაყიდვა, გაქირავება ან გაცვლა.

2. ავტოსესხი - გაიცემა ფიზიკურ პირებზე უზრუნველყოფით ავტომობილების შესაძენად. აღნიშნული სესხი თავის მხრივ გამოიყოფა შემდეგნაირად :

- მეორადი ავტომობილის შეძენა - მოცემული ავტოსესხის უზრუნველყოფას წარმოადგენს შესაძენი ავტომობილი, რომლის შეძენა შესაძლებელია, როგორც ავტო ბაზრობაზე, ასევე კერძო პირისგან;
- ახალი ავტომობილის შეძენა - ამ ავტოსესხის უზრუნველყოფას წარმოადგენს შესაძენი ავტომობილი, რომლის მიღება შესაძლებელია ბანკის პარტნიორ ავტოსალონებში, ადგილიდან გაუსვლელად ;

ვითიბი ბანკში ასევე შესაძლებელია ისეთი საკრედიტო პროდუქტებზე მომსახურების მიღება, როგორცაა სწრაფი სესხი, რაც თავის დანიშნულების მიხედვით გვაქვს შემდეგი :

- განვადება;
- ოვერდრაფტი;
- ლომბარდი;
- ონლაინ სესხი.

ბანკი ასევე ეხმარება ბიზნეს სექტორს განვითარებაში, მათი პროექტების დაფინანსებასა და გაფართოებაში ბიზნეს სესხების საშუალებით, მაგალითად, როგორცაა აგრო საქმიანობა, რა დროსაც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გასაფართოებლად გაიცემა აგრო სესხები, რათა იქნეს შეძენილი მიწის ნაკვეთი, საქონელი, ფერმა თუ სხვა რამ, რაც მნიშვნელოვანია მეურნეობისათვის.


საერთო ჯამში ბიზნეს სესხი შეიძლება გაიცეს სხვადასხვა, კონკრეტული დანიშნულებით, მაგალითად :

1. ბიზნეს სესხი ძირითადი საშუალებებისთვის - რა დროსაც შესაძლებელი ხდება მატერიალური აქტივების შეძენა, როგორცაა დანადგარები, ტრანსპორტი ან უძრავი ქონების : საწყობი, საწარმო თუ საოფისე


დანიშნულებით.

2. **ბიზნეს სესხი საბრუნავი საშუალებებისათვის** - ამ დროს საჭირო, დამატებითი ფულადი რესურსების მოზიდვის საშუალება ეძლევა ბიზნესის მფლობელს, თუნდაც მომწოდებლის მიმართ არსებული ვალდებულებების დასაფარად, ასევე არსებული ასორტიმენტისა თუ მარაგების გასაფართოვებლად.
3. **ბიზნეს საკრედიტო ხაზი** - მოცემული სესხი კლიენტისთვის დაფარვის გრაფიკით მორგებული პროდუქტია, რომელიც ეხმარება საბრუნავი კაპიტალის შესავსებად და ბიზნესის დასაფინანსებლად დეფიციტების აღმოსაფხვრელად.
4. **ბიზნეს ოვერდრაფტი** - მოკლევადიანი საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად გაცემული სესხია, რისი საშუალებითაც ხდება საგადასახადო და სახელფასო დავალიანებების დაფარვა, საქონლის ტრანპორტირება და განბაჟება, მომწოდებლებთან ანგარიშწორება და სხვა საოპერაციო ხარჯების დაფინანსება.

თითოეული მათგანი კლიენტს შეუძლია მიიღოს სწრაფად და დააკრედიტოს მარტივად შესაბამისი პროცედურების გავლის საფუძველზე.



გრაფიკი 3 : სს „ ვითიზი ბანკი” კლიენტებზე გაცემული სესხები (ათას ლარში)



გრაფიკი 4 : სს „ ვითიზი ბანკის” კლიენტებზე გაცემული სესხები (ათას ლარში)

რაც უფრო მეტი რაოდენობის საკრედიტო პროდუქტია ბანკში, მით მეტია რისკების არსებობის ალბათობა. იმისთვის, რომ რისკები იქნეს მართვადი ბანკს აქვს შემუშავებული შესაბამისი მეთოდოლოგია.

აუცილებელია წინასწარ შემუშავდეს კონტროლის ღონისძიებები და გაანალიზდეს ის საფრთხეები, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ბანკს კონკრეტული მიზნის მიღწევაში.

იმისათვის, რომ რისკი იყოს ეფექტიანად მართვადი, აუცილებელია ბანკში იყოს დამკვიდრებული სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორატი, შიდა და გარე აუდიტი და თვითონ რისკის მართვის შიდა სტრუქტურები, შესაბამისად ბანკმა უნდა განსაზღვროს თითოეული სამსახურისთვის პასუხისმგებლობა და ზუსტი უფლებამოსილება.

სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობაა რისკების მართვის პოლიტიკის დამტკიცება და მისი შეფასება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, ხოლო დირექტორატის ანგარიშის შეფასება სულ მცირე კვარტალში ერთხელ და ბოლოს მათ უნდა განიხილონ ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც აღემატება დირექტორატის უფლებამოსილებას და მოითხოვს მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობას.

დირექტორატის ვალდებულებაა შეიმუშავოს რისკების მართვის პოლიტიკა მაქსიმალურად დეტალურად და წერილობით შეიმუშავოს სტრატეგიები, რომლებიც აუცილებლად უნდა მოიცავდეს რისკების ლიმიტები, რაც უნდა გადაიხედოს წელიწადში მინიმუმ ერთხელ.

რისკების დადგენა, რისკების შეფასება, მონიტორინგი, კონტროლი, აქტივებისა და ვალდებულებების მართვა რისკების მართვის პროცესის შემადგენელი მოდელებია .

ბანკმა უნდა შექმნას სარეზერვო სისტემა და ეფექტიანი პროცედურებით დაიცვას რისკის მონიტორინგის პროცესები, ასევე განიხილოს და შეამოწმოს აღნიშნული სარეზერვო სისტემა.

იმისთვის, რომ მოხდეს კონკრეტული რისკების მართვა, ბანკმა უნდა დააწესოს შესაბამისი რისკების კონტროლი. რისკების გაკონტროლება შესაძლებელია ისეთი

საზომი ინსტრუმენტების საშუალებით, როგორცაა ჰეჯირება, გარანტიების გაცემა, „სეკურიტიზაცია“ და საკრედიტო დერივატივები. გარდა ამისა, იმისათვის, რომ განეიტრალებდეს პოტენციური რისკები აუცილებელია ბანკმა გაამდიეროს საკუთარი კაპიტალი.

თავი III . საკრედიტო პორტფელის რისკის მართვის სრულყოფის გზები

3.1 ბანკის საკრედიტო პორტფელის მართვის სრულყოფის გზები

როგორც ზემოთ ავლინებით , კომერციული ბანკის მთავარი ამოცანაა პორტფელური საკრედიტო რისკის მართვა , რომლის მიხედვითაც ჩამოყალიბდება ოპტიმალური საკრედიტო პორტფელი , რათა მოხდეს რისკის მინიმუმამდე საყვანა და სასურველი მომგებიანობის დონის უზრუნველყოფა.

საერთო ჯამში ბანკის საკრედიტო პორტფელის მართვის სისტემები ხასიათდება რიგი უარყოფითი მახასიათებლებით . კერძოდ კი საკრედიტო პორტფელის უსისტემო ჩამოყალიბება, საკრედიტო პორტფელის ხარისხის ფორმირებაში ბანკის მმართველი მენეჯერების პრაქტიკული გამოცდილების ნაკლებობა, თანამშრომლების, რომლებიც პირდაპირ კავშირში არიან საკრედიტო ოპერაციების განხორციელებასთან არასათანადოდ ინფორმირება, მართვის პრინციპებისა და მექანიზმების სუსტი განვითარება , ცხადია როცა საინფორმაციო სისტემების მართვა არაა განვითარებული , ის უარყოფითად აისახება , თუმცა ეს არ არისუკანასკნელი ფაქტორი რაც ხელს უშლის ბანკის საკრედიტო პორტფელის სრულყოფილ მართვას.

არანაკლებ მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია საკრედიტო რისკის მართვის შემდეგი მხარეები :

1. მეთოდების არასაკმარისი დამუშავება;
2. შიდა კონტროლის სისტემაში არსებული ხარვეზები;
3. შეცდომები პერსონალის მენეჯმენტში.

საკრედიტო პორტფელის მართვის პრინციპები რომელთა მთლიანობა ფუნქციონირებს ზოგადი პრინციპების საფუძველზე , მოიცავს შემდეგ დებულებებს :

1. საკრედიტო პორტფელის ანალიზი უნდა ხორციელდებოდეს სისტემატიურად;
2. საკრედიტო რისკის შესამცირებლად უნდა განვითარდეს საკრედიტო ოპერაციები;

3. გაუმჯობესდეს საკრედიტო მართვის სისტემები და საბანკო მიდგომები .

შესაბამისად , იმისათვის, რომ საკრედიტო პორტფელის მართვა განხორციელდეს ეფექტურად , თანამედროვე კომერციულმა ბანკებმა უნდა უზრუნველყონ შემდეგი სახის ღონისძიებების ჩატარება , რომელიც მათ დაეხმარება მართვის ხარისხის გაუმჯობესებაში :

1. დაკრედიტების არჩეული სტრატეგიის შესაბამისად უნდა ჩამოყალიბდეს საკრედიტო პორტფელი , რომელიც გარკვეული პერიოდის სიხშირით დაკორექტირდება საბაზრო სიტუაციებიდან გამომდინარე და დააკმაყოფილებს საკრედიტო რისკის ოპტიმალურ მაჩვენებლებს (ლიკვიდურობა და მომგებიანობა) ;
2. განვითარდეს ბაზრის საკვლევი მექანიზმი , ინდუსტრიული რისკები და საკრედიტო პერსპექტივების ანალიზი ;
3. უნდა შეირჩეს კვალიფიციური კადრები, რომლები შეასრულებენ თავიანთ ფუნქციებს გამოცდილი ხელმძღვანელების მი'თითებით;
4. მოგების მიღება საკრედიტო მიზნების განსაზღვრის გზით;
5. ჩატარდეს საკრედიტო ინვესტიციების მუდმივი მონიტორინგი, საკრედიტო პორტფელის არასტაბილურობის გათვალისწინებით.

იმისათვის, რომ სამომავლოდ იქნეს შემუშავებული და გაუმჯობესებული საკრედიტო პორტფელის მართვა უნდა დაინერგოს ახალი ტიპის საკრედიტო პროდუქტები, გაუმჯობესდეს მსესხებლის საკრედიტო ანალიზის ხარისხი, დაიყოს საკრედიტო პირობები სესხის გამოყენების და მსესხებლის შემოსავლების დონის მიხედვით , ამოქმედდეს სესხის რეგისტრაციისა და შემდგომი მომსახურების პროცედურები და შემცირდეს საკრედიტო რისკები სესხის მომსახურების პროცესში მონიტორინგის ხარისხის გაუმჯობესების გზით .

თუ გავითვალისწინებთ იმას , რომ ბანკი არის ღია ეკონომიკური სისტემა, რომელიც მოქმედებს მრავალი გარე ფაქტორების გავლენის ქვეშ, მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკური პარამეტრების ანალიზი, რაც გავლენას ახდენს საკრედიტო აქტივობაზე და ბანკების საკრედიტო პორტფელის ხარისხზე , ასე , რომ საკვანძო

ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს სესხების მოცულობის ცვლილებაც , დაკრედიტების მოთხოვნის ზრდა ან შემცირება , როგორც წესი საპროცენტო განაკვეთების შემცირებით ხდება საკრედიტო რესურსების მოთხოვნის ზრდა , რაც თავის მხრივ შეამცირებს საკრედიტო დონეს.

კომერციულ ბანკებში განსაკუთრებით მნიშვნელოვან ცვლილებებს მოითხოვს ფიზიკური და იურიდიული პირების საკრედიტო რისკების მართვის სფერო, სადაც რისკების მართვის სისტემების სრულყოფა მიმართული უნდა იყოს კლიენ-ტების ყოველი კატეგორიისათვის, თუმცა გასათვალისწინებელია საპროცენტო, საბაზროდა საოპერაციო რისკების მართვის სისტემების განვითარებაც, რომ ბანკის მთავარი ამოცანაა. საბანკო რესურსების ზრდის მნიშვნელოვან წყაროს ბანკის მიერ აქტიური ოპერაციების განხორციელების მეშვეობით მიღებული მოგება წარმოადგენს, რომლის მოცულობის ზრდა უშუალოდ არის დამოკიდებული საბანკო საქმის მაღალ შემოსავლიანობის ზრდაზე. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საბანკო სისტემის მრავალ პრობლემას შორის აღსანიშნავია საკრედიტო რესურსების ნაკლებობა და მათ შესავსებად წყაროების არარარსებობა.

საიმედობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ეტაპია ფინანსური რესურსების გამოყენების ხარისხოვანი პარამეტრების განსაზღვრა და ბანკის რიცხოვრივი ორიენტირების შემადგენლობის მიმართულებათა სტრატეგიის დამუშავება. ბანკის ხელმძღვანელობამ თავისი მმართველობა უნდა წარმართოს ისე, რომ მიმდინარე პირობებში გამორიცხოს ზარალი, ხოლო მომავალში გაითვალისწინოს ქვემდებარე ობიექტის განვითარების ინტერესები¹⁴. მაღალ ორგანიზებული მმართველობითი სისტემის შესაქმნელად პირველ რიგში აუცილებელია ფასეულობათა ინტერესებისა და სისტემების სწორად განსაზღვრა, შემდგომში კი გამომუშავებულ იქნას კომერციული ბანკის არსებობის პერსპექტიული მოდელი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ყოველმხრივი დაცვის რეჟიმი და მართვის წინაშე დასახული ამოცანების ადეკვატურად შესაბამისი მეთოდების დამუშავება. ამრიგად, საბანკო სექტორის განვითარებისთვის აუცილებელია პროგრე-სული ცვლილების განხორციელება, ხოლო, უახლოეს პერსპექტივაში, მხოლოდ პროფესიულ სტრატეგიას შეუძლია სიტუაციის

უკეთესობისაკენ შეცვლა და კომერ-ციული ბანკის ეფექტური ფუნქციონირების ამაღლება.

როგორც ცნობილია, სავალუტო რისკი ქმნის საბოლოო ფინანსური შედეგის გაურკვეველობას განსაკუთრებით ექსპორტიორებისა და იმპორტიორებისთვის. აქედან გამომდინარე, მათ არ შეუძლიათ ზუსტად გაითვალისწინონ სავალუტო რისკი პროდუქციის ფასწარმოქმნისას, რაც ართულებს ბიზნესდაგეგმარების პროცესს, მაგრამ არსებობს სავალუტო რისკის შემცირების საშუალება, ეგრეთწოდებული, „ჰეჯირება“, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს ბიზნეს პროცესების შესაბამისი ორგანიზებით, ისე რომ კომპანიამ მაქსიმალურად აარიდოს თავი სავალუტო რისკებს ან სხვადასხვა ფინანსური ინტრუმენტების გამოყენებით. ანუ სავალუტო რისკის ჰეჯირების ძირითადი მიზანია, თავიდან იქნას აცილებული გაცვლითი კურსის რყევებისგან გამოწვეული გაურკვეველობები. სავალუტო ჰეჯირება საშუალებას აძლევს იმპორტიორებსა და ექსპორტიორებს:

- სწორად განსაზღვრონ მომავალი ფულადი ნაკადების ხვადასხვა ვალუტით;
- განსაზღვრონ ისეთი ფასები, რომელიც ბიზნესგეგმით იყო გათვალისწინებული;
- შეინარჩუნონ საოპერაციო სტაბილურობა;
- ფოკუსირება გააკეთონ თავიანთ ძირითად საქმიანობაზე. სავალუტო რისკების ჰეჯირების საუკეთესო საშუალებაა „ბუნებრივი ჰეჯირება“. ბუნებრივი ჰეჯირება არის ბიზნესპროცესების ისეთი დაგეგმარება- წარმართვა, რომ კომპანიის ფულადი ნაკადების მოცულობა (შემოსავლები და ხარჯები) ვალუტების მიხედვით სრულად, ან მაქსიმალურად სრულად შეესაბამება ერთმანეთს და ამგვარად აცილებულია ან მინიმუმამდეა დაყვანილი სავალუტო რისკი. ბუნებრივი ჰეჯირების უპირატესობა არის ის, რომ არ საჭიროებს დამატებით დანახარჯებს და პირდაპირ უკავშირდება კომპანიის ბიზნესპროცესებს.

რისკების ზრდასთან ერთად, ბუნებრივია მათი შეფასების უფრო სრულყოფილი ტექნიკის აუცილებლობა წარმოიშვა. რისკ-მენეჯერებისათვის საჭირო გახდა საბანკო პორტფელის რისკის შეფასება. საბანკო რისკების შეფასება ხდება იმ მეო-

დის გამოყენებით, რომლებიც ასახავს სავარაუდო ზარალს ბიზნესის ჩვეულებრივი კურსით მსვლელობისას და მოულოდნელ ზარალსაც, რომლის განსაზღვრაც ხდება სტატისტიკური მოდელებით.

რისკების მონიტორინგი და კონტროლი ხორციელდება ბანკის მიერ დადგენილი შეზღუდვების ფარგლებში, რომლების ასახავს საბანკო ბიზნესის სტრატეგიასა და საბაზრო გარემოს. ასევე რისკის იმ დონე.

რისკის შეფასების ყველაზე აპრობირებული მეთოდებია:

- მოსალოდნელი ზარალის განსაზღვრა;
- რისკის შეფასების მარტივი ხერხი;
- გარდამავალი ალბათობების მატრიცებზე დაფუძნებული მეთოდი;
- დეფოლტის პროცესების ალბათურ მოდელზე დამყარებული მეთოდი;
- ბლექ-შოულსისოპციონების თეორიაზე დაფუძნებული მეთოდი;
- მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე დაფუძნებული მეთოდი.

ბანკის საქმიანობის ფინანსური ანალიზის პრაქტიკაში რიგი მაჩვენებლები გამოიყენება, რომლებიც საკრედიტო რისკს უფრო სრულად ახასიათებს და ბანკის საკრედიტო რეიტინგის დადგენისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ასეთ მაჩვენებლებს მიეკუთვნება: ბანკის კაპიტალის სიდიდე; ბანკის აქტივების სიდიდე; ბანკის ვალდებულებების სიდიდე; ბანკის მოგების სიდიდე.

ინფორმაციული მომსახურების მსოფლიო ბაზარზე თანამედროვე პირობებში სამი წამყვანი სარეიტინგო სააგენტოები მონაწილეობენ:

1. „Moody’s Investors Service“;
2. „Standard and Poor’s“;
3. „Fitch“.

დღეს მსოფლიოში სარეიტინგო შეფასებისა და საკრედიტო რეიტინგების სახეობის განმსაზღვრელი სტანდარტები არსებობს. წამყვანი მსოფლიო სააგენტოების მიერ გამოყენებადი საკრედიტო რეიტინგების სახეობებს შორის ყველაზე უფრო გავრცელებულად ითვლება:

- ემიტენტის რეიტინგი ქვეყნის შიგნით (Intra-Country Issuer Rating);
- მოკლევადიანი სავალო რეიტინგი ეროვნულ/უცხოურ ვალუტაში ვალდებულებების მიხედვით (Local/Foreign Currency Short-Term Debt Rating);
- გრძელვადიანი სავალო რეიტინგი ეროვნულ/უცხოურ ვალუტაში ვალდებულებების მიხედვით (Local/Foreign Currency Long-Term Debt Rating);

სტატისტიკური საპროგნოზო მოდელები, ანუ „ადრეული რეაგირების სისტემები“. შეფასებას.

მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა მძიმე შედეგი გამოიღო, რადგან საბანკო სისტემა მოიცვა ვადაგადაცილებულმა იპოთეკურმა სესხებმა. კრიზისმა გამოიწვია საბანკო სისტემის ლიკვიდობის გაუარესება, ასევე უძრავი ქონების ბაზარზე ფასების ვარდნა, რის გამოც ბანკები ვერ ახერხებდნენ სესხის უზრუნველსაყოფად გირაოში ჩადებული უძრავი ქონების დროულ რეალიზაციას იმ ფასად, რომელიც საკმარისი იქნებოდა კრედიტის მთლიანად დასაფარად, ანუ ბანკებს ბალანსის სახით აღმოაჩნდათ თავიანთ ბალანსზე დაგროვილი უძრავი ქონება. ამან კი გამოიწვია საბანკო სფეროს და უძრავი ქონების ბაზრის კრიზისი. ფინანსო კრიზისის შესარბილებლად საკრედიტო რისკის მართვის კუთხით გააქტიურდა ბანკების საქმიანობა. პირველ რიგში ეს გამოიხატა ლიმიტების დაწესებაში: ბანკებმა უარი თქვეს დაკრედიტების ძველ ტემპებზე და სამომხმარებლო ბაზრის ბევრი პროდუქტი, როგორცაა: განვადება და საკრედიტო ბარათები საერთოდ ამოიღეს ხმარებიდან. განსაკუთრებული კონტროლი დაწესდა ხელფასის საფუძველზე გაცემულ სამომხმარებლო სესხებზე, რომლებიც დღესდღეობით, უმეტესად, მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიცემა თუ ფიზიკურ პირს ბანკში ერიცხება ხელფასი, რადგან ვადაგადაცილების შემთხვევაში მოხდეს კლიენტის ხელფასის დაყადაღება. მოხდა ასევე არასაგირავნო ტიპის ბიზნეს-კრედიტების შეზღუდვა, გამონაკის

წარმოადგენდა "პროკრედიტ ბანკი", რომელიც მიუხედავად კრიზისისა, მაინც ინარჩუნებდა მის მიერ დანერგილი პროდუქტების გაყიდვის ძველ ტემპებს და აგრძელებდა სტაბილურ დაკრედიტებას. სერიოზული პრობლემები გააჩნია საქართველოს კომერციულ ბანკებს საოპერაციო რისკის მართვაში. როგორც წესი, საოპერაციო რისკი არის ბანკის სტაბილური, გამართული, ქმედუნარიანი სამუშაო პროცესის შეფრხების რისკი და იგი შეიძლება გამოწვეული იქნეს ბანკის ოპერირების ნებისმიერ დონეზე დაშვებული შეცდომებით. პირველ რიგში ეს ეხება ბანკის სამუშაო-საოპერაციო სისტემის გამართულ მუშაობას. ქართულ ბანკებში ხშირია შემთხვევები, როცა პროგრამული უზრუნველყოფის გათიშვის მიზეზით ბანკში იქმნება დიდი რიგები, რასაც შედეგად მოჰყვება კლიენტების უკმაყოფილება და პრეტენზიები. საოპერაციო რისკების მართვა უშუალო კავშირშია კადრების შერჩევასთან. აქ დაშვებული ნაკლოვანებები მძიმე ფინანსურ შედეგს იძლევა. საქართველოს პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე ჩვენი საბანკო სისტემისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის პოლიტიკური რისკის გათვალისწინებას.

ცალკე განხილვას ექვემდებარება ლიკვიდობის რისკის შეფასება და კონტროლი, რომელიც საბანკო რისკების მართვის დეპარტამენტის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა. ამ რისკთან უშუალო კავშირშია ბანკის საქმიანობა, ვინაიდან იგი ვერ უზრუნველყოფს აღებული ვალდებულებების შესრულებას, რამაც შეიძლება სავალო შედეგი გამოიწვიოს. საქართველოს კომერციულ ბანკებში ლიკვიდობის რისკის კონტროლი ძირითადად ხდება, აქტივ-პასივების მართვის და რისკების მართვის დეპარტამენტების კოორდინირებული მოქმედების შედეგად. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ბოლო წლების განმავლობაში ქვეყნის ბანკებს არ ჰქონიათ ლიკვიდობის პრობლემები. თუმცა, ისინი ზედმეტად დამოკიდებულნი არიან უცხოურ საკრედიტო ხაზებზე

3.2 მაკროეკონომიკური მაჩვენებლის გავლენა საკრედიტო პორტფელის რისკზე

კომერციული ბანკის ეკონომიკური ანალიზის განხორციელების საფუძველია პრაქტიკული ანალიტიკური მუშაობის ზოგადი მეთოდოლოგია, რომლის შინაარსი ეფუძნება ეკონომიკური ანალიზის თეორიას , თუმცა ბანკის არსი და მისი საქმიანობის სპეციფიკა, როგორც კვლევის ობიექტი, განსაზღვრავს კომერციულ ბანკში ჩატარებული ეკონომიკური ანალიზის მეთოდოლოგიის გარკვეულ თავისებურებებს .

მაკროეკონომიკა არის ეკონომიკის შესწავლა , როგორც მთელი რიგი ეკონომიკური მოვლენებისა , ასევე მათი ინდიკატორების , რაც საშუალებას გვაძლევს , გავიგოთ ქვეყნის წარმოების სტრუქტურა, ეკონომიკური მერყეობის ბუნება, წარმოების დონე, ინფლაცია , უმუშევრობა , ეკონომიკური ზრდის არსი .

კომერციული ბანკის ეკონომიკური ანალიზის ორგანიზებისა და ჩატარების საფუძველია პრაქტიკული ანალიტიკური მუშაობის ზოგადი მეთოდოლოგია , რომლის შინაარსი ეფუძნება ეკონომიკური ანალიზის თეორიას, თუმცა ბანკის არსი და მისი საქმიანობის სპეციფიკა , როგორც კვლევის ობიექტი , განსაზღვრავს კომერციულ ბანკში ჩატარებული ეკონომიკური ანალიზის მეთოდოლოგიის გარკვეულ თავისებურებებს.

მაკროეკონომიკური მაჩვენებლები ეკონომიკაში შეჯამებულია, როგორც მოხმარების, წარმოების, ხარჯებისა და შემოსავლების , იმპორტისა და ექსპორტის , ეკონომიკური ზრდის ტემპის მთლიანი მაჩვენებლები და ისინი ასახავს ეკონომიკურ ტენდეციებს .

ყველა მნიშვნელოვანი მაჩვენებლები , რომლების გამოიყენება მაკროეკონომიკურ ანალიზში იყოფა სამ ჯგუფად :

1. ფონდები-აქტივები;
2. ნაკადები;
3. ეკონომიკური კონიუნქტურის მაჩვენებელი.


კომერციული ბანკის საკრედიტო რისკის დონე არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინდიკატორი, რომელიც ასახავს მის სტაბილურობასა და საიმედოობას, ამიტომაც აუცილებელია განისაზღვროს მაკროეკონომიკური გარემოს გავლენის მიმართულებები ბანკის მსესხებელთა ფინანსური მდგომარეობის შესახებ საკრედიტო რისკის დონის მიხედვით, ამ დროს ყურადღება უნდა გავამახვილდეს შემდეგზე:

- თავის მხრივ სავალუტო კურსი გავლენას ახდენს მსესხებელთა პროდიქტიულობაზე, თუმცა ამ გავლენას შეუძლია განახორციელოს სხვადასხვა ტენდეციები, რაც დამოკიდებულია საწარმოს კონკრეტულ საქმიანობაზე, მაგალითად: საექსპორტო საწარმოებისთვის მომგებიანი და მოსახერხებელია კურსის ზრდა, რადგან ის იძლევა დამატებით შემოსავლის წყაროს კურსთაშორის სხვაობის ხარჯზე, განსხვავებით იმპორტისა, ამ შემთხვევაში საწარმოსთვის კურსის ცვალებადობა უარყოფითად მოქმედებს;
- აღსანიშნავია ისიც რომ ინფლაციის დონის შემცირებამ შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო პორტფელის რისკის შემცირება გაუფასურებული საკრედიტო რესურსების ხარჯზე ;
- რეფინანსირების კურსი განსაზღვრავს ეკონომიკის ყველა სხვა საპროცენტო განაკვეთს, რაც მოსახლეობისა და საწარმოების დამოკიდებულებაზე ახდენს გავლენას დანაზოგებისა და ინვესტიციების მიმართ. რეფინანსირების კურსის ცვლილება დამოკიდებულია ინფლაციის დონეზე და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომერციული ბანკის საკრედიტო რისკზე, რადგან იგი მოქმედებს როგორც ეკონომიკურ აქტივობის ძლიერი მარეგულირებელი ;
- ფინანსების ცვლილებამ ისეთ საკვებ პროდუქტებზე, როგორცაა შაქარი ან ხორბალი, შესაძლებელია მნიშვნელოვნად იმოქმედოს კომერციული ბანკის საკრედიტო რისკის დონეზე. ფასების ზრდა ამსაქონელზე მოქმედებს არა მარტო მყიდვეოებსა და გამყიდველებზე, სავაჭრო ქსელზე და მწარმოებლებზე, არამედ იწვევს ფასების ზრდის მეორე ტალღის გამოწვევას.


ამის ფონზე ფასები იზრდება შაქრის შემცველ პროდუქტებზეც . თავის მხრივ , პროდუქტების მოთხოვნის შემცირება გამოიწვევს პროდუქციის მოცულობის შემცირებას , შესაბამისად მწარმოებლების ფინანსური მდგომარეობა გაუარესდება, რომლებიც შესაძლებელია იყვნენ ბანკის მსესხებლები , ეს კი საკრედიტო რისკის დონის ზრდის გამომწვევი ფაქტორია .

- უმუშევრობის დონე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებელია , მისი მაღალი დონე საზოგადოებისა და ეკონომიკის მნიშვნელოვან პრობლემებსა და ხარავეზებზე მიუთითებს , ამდენად ეს შესაძლებელია გახდეს დეფოლტის ზრდის მიზეზიც ;
- რაც შეეხება უცხოურ სავაჭრო ბრუნვას , ის როგორც ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ნებისმიერი მაჩვენებელი , განსაზღვრავს მის დონეს მსოფლიო ბაზარზე . (Акопян С.А.)

საერთო ჯამში უნდა აღინიშნოს, იმისათვის, რომ რისკები შემცრიდეს, აუცილებელია შეფასდეს ბანკის აქტივების ხარისხი, თუმცა საკრედიტო რისკის შესამცირებლად მთავარია აქტივების სპორტფელის დივერსიფიკაცია და შეიქმნას რეზერვი საკრედიტო რისკების დასაფარად . (М.А. Бельтюкова-2017)



გრაფიკი 5 : ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები



გრაფიკი 6 : კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები (მლრდ ლარი)

როგორც უკვე აღინიშნა საბანკო პრაქტიკაში რისკი არის გარკვეული შემთხვევების დადგომისას ბანკისთვის ზარალის მიღების საშიშროება. იმ ბანკებში, სადაც ეფექტურად ხდება რისკების მართვა, დიდი ალბათობით, სწორადაა ორგანიზებული რისკების მართვაზე პასუხისმგებელი ერთეულების საქმიანობა. მსოფლიოში ფართოდ არის გავრცელებული საბანკო რისკების დაზღვევა. საბანკო რისკი არის საბანკო საქმიანობის სიტუაციური მახასიათებელი, რომელიც გვიჩვენებს შედეგის განუსაზღვრელობას და ახასიათებს მოსალოდნელიდან რეალური შედეგის უარყოფითი გადახრის ალბათობას. კომერციული ბანკების უმთავრესი ამოცანაა რისკების შემცირება, რაც გულისხმობს ოპტიმალური თანაფარდობის დაცვას ერთი მხრივ კრედიტებს, დეპოზიტებს, სხვა ვალდებულებებსა და მეორე მხრივ საკუთარ

კაპიტალს შორის¹⁷. საბანკო რისკების სამი სახე არსებობს: საკრედიტო, საბაზრო და ოპერაციული. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების მიხედვით, საბანკო სფეროს რეგულირებისათვის დადგენილია რისკის შემდეგი სახეები: საკრედიტო რისკი, საბაზრო და საპროცენტო რისკები, ლიკვიდობის რისკი, საოპერაციო რისკი, სამართლებრივი რისკი, რეპუტაციის რისკი, სტრატეგიული რისკი და შესაბამისობის რისკი.¹⁸ აღნიშნული წესების შემუშავებას საფუძვლად უდევს ბაზელის ფორმატით საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის ყოველწლიური შეხვედრები, საერთაშორისო პრაქტიკა და კომერციულ ბანკებში რისკების მართვის აუცილებლობა.

ბანკს, რომელიც დიდი ოდენობით ოპერაციებს ახორციელებს და მაღალი კომპლექსურობა ახასიათებს, შეუძლია შეიმუშაოს და გამოიყენოს შიდა მოდელი. ამასთან, შიდა მოდელის გამოყენება შეიძლება მოხდეს მხოლოდ შიდა მიზნებისთვის, ბანკის მოთხოვნების შესაბამისად და ბანკის მომავალი პოლიტიკის გათვალისწინებით²⁰.

რისკების შეფასებისას გამოყენებული მეთოდი უნდა შეესაბამებოდეს ბიზნესოპერაციების სახეობას, მასშტაბებს და კომპლექსურობას, მონაცემთა შეგროვების შესაძლებლობებს, დირექტორატის და შესაბამისი აღმასრულებელი პირების უნარს აღიქვან გამოყენებული რისკების შეფასების სისტემის შეზღუდვათა საბოლოო შედეგები. რისკების შეფასების მეთოდი გასაგები უნდა იყოს ბანკის თანამშრომლებისთვის, რომლებიც აკონტროლებენ რისკებს, მათ შორისაა (და არა მხოლოდ) რისკების მართვის კომიტეტი, ხაზინის სამსახური, რისკების მართვისა და შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები²¹.

რისკების შეფასებისა და ადრეული რეაგირების სარეიტინგო სისტემებს, მთლიანობაში რიგი განსხვავებები ახასიათებთ, რომლებიც განპირობებულია ამ ქვეყნის საბანკო სისტემების განვითარების, როგორც ისტორიული სტრუქტურული თავისებურებებით, ასევე სხვადასხვა ქვეყნების მიერ ეკონომიკური პოლიტიკის გატარების თავისებურებებითაც. მაგრამ ყველა ისინი, ძირითადად, საკრედიტო და საბაზრო რისკებზე, მენეჯმენტის ხარისხზე, აგრეთვე ბანკების პრობლემების ადრეულ სტადიაში გამოვლენის აუცილებლობაზეა ორიენტირებული.

XX საუკუნის 90-იან წლების შუა პერიოდისათვის საბანკო რისკებზე კონტ-როლმა სერიოზული ცვლილებები განიცადა, მათ შორის რისკების გაანგარიშებისა და გაზომვის გაანგარიშების მეთოდის სფეროში სიახლეების შემოქმედების ქვეშევრდ. ერთ-ერთი უფრო მეტად არსებითი ნოუ-ჰაუ გახდა საბანკო საქმიანობაში რისკების გაზომვის ახალი მეთოდოლოგიის გამოყენება, რომელიც VAR („Value at risk“)-ის ღირებულება რისკის ქვეშ სახელით არის ცნობილი. საბანკო ზედამხედველობის მიზნით VAR მეთოდოლოგიის დანერგვა ბაზელის კომიტეტის მიერ იყო ინიცირებული და იგი ფინანსური ბაზრების კონიუქტურის პოტენციალური ზარალის რისკების შეფასებისათვის გამოიყენება.

მეთოდოლოგია „VAR“-ი შემუშავებულია საბაზრო რისკების მართვის მიზნით 90-იან წლებში და იგი თანამედროვე რისკმენეჯმენტის წამყვან კონცეფციას წარმოადგენს. პირველად „Value at risk“-ის ცნება გამოყენებული იქნა risk Metriks-ის სისტემაში, რომელიც ცნობილი საინვესტიციო ბანკი J.P. Morgan-ის მიერ იყო დამუშავებული. მეთოდოლოგიამ - კომერციული ბანკების, საინვესტიციო ფონდებისა და არასაფინანსო კორპორაციების პრაქტიკაში, ფართო გამოყენება მოიპოვა და მან ეროვნული და საერთაშორისო მარეგულირებელი ორგანოების მხრიდან ოფიციალური აღიარება მოიპოვა.

რისკიანობის ღირებულება - აქტივების პორტფელის ღირებულების ცვლილებების შედეგად მაქსიმალურად მისაღებ შესაძლო ზარალს გამოხატავს, რომელიც შეიძლება დროის მოცემულ პერიოდში რისკიანი გარემოების დადგომის დადგენილი ალბათობით იქნას მიღებული, რომლის ქვეშ ბანკის აქტივების ღირებულების ცვლილებები გაიგება.

რისკიანი ღირებულება - არის ზარალის მაქსიმალური მნიშვნელობა, თუ რა სიდიდით შეიძლება იგი არაუმეტესი $x\%$ -ის ალბათობით იქნას გადაჭარბებული და ბოლო n -დღის განმავლობაში $(100-x)\%$ -ის ალბათობით არ იქნება გადამეტებული. ნდობითი ინტერვალი შეიძლება 90,95; 97,5 ან 99%-ის ფარგლებში იქნას შეფასებული. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ მაგალითად, 95%-იანი ნდობითი ინტერვალის შემთხვევაში, პოზიციის მხარდაჭერის პერიოდის 95% შემთხვევაში ზარალი „VAR“-ის

რისკიანობის ღირებულებას არ გადააჭარბებს და მხოლოდ 5%-ის შემთხვევაში შეიძლება უფრო მეტი აღმოჩნდეს.

ბანკი, ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, ყველა სახის რისკების თავისდროულ გამოვლენას, კონტროლსა და მინიმიზაციას ახორციელებს, რომელიც მის ფინანსურ საიმედობას ემუქრება. რისკების მინიმიზაციის მიღწევას სტაბილურობამდე მივყავართ, სტაბილურობას კი - ნდობის მოპოვებამდე, ხოლო თვით ნდობა - საბანკო ბიზნესის განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. საკრედიტო რისკის მინიმიზაცია კრედიტების რაციონირებას, საკრედიტო დაბანდებების დივერსიფიცირებას, კრედიტების სტრუქტურირებას, აგრეთვე საბანკო რისკების გადაფარვის მიზნით, სარეზერვო სახსრების შექმნას ითვალისწინებს.

საკრედიტო რისკის მინიმიზაციის ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან და მისაღებ ხერხს საკრედიტო პორტფელის რაციონირების ხერხი წარმოადგენს. ბანკის საკრედიტო პორტფელის რაციონირება - არის მოქნილი ან მკაცრი დაკრედიტების ლიმიტების: თანხობრივად, ვადების, საპროცენტო განაკვეთების სახეობისა და სესხების მიწოდების სხვა პირობების მიხედვით დადგენა; ცალკეული მსესხებლების ან მსესხებლების კლასის მიხედვით ლიმიტების დადგენა;

რისკების მაქსიმალური სიდიდე ერთ ინსაიდერზე - ფიზიკურ პირზე, როგორც წესი, ბანკის საკუთარი კაპიტალის სიდიდის 2-3%-ს არ აღემატება, ხოლო ინსაიდერზე - იურიდიულ პირზე კი - 10-15%. რისკების მაქსიმალური სიდიდის საშუალო მნიშვნელობა მთლიანობაში ყველა ინსაიდერზე საბანკო პრაქტიკაში ბანკის საკუთარი კაპიტალის სიდიდესთან მიმართებაში 25-30%-ის ლიმიტის ფარგლებში განისაზღვრება. მსხვილი კრედიტების მაქსიმალური სიდიდე - მსხვილი კრედიტების ერთობლივი თანხის ბანკის საკუთარ სახსრებთან (კაპიტალთან) პროცენტულ თანაფარდობას წარმოადგენს. მსხვილ რისკად, ჩვეულებრივად ითვლება ის კრედიტი, რომლის მოცულობა ბანკის საკუთარი სახსრების 10%-ს აჭარბებს. რისკის მაქსიმალური სიდიდე ერთ კრედიტორზე - ბანკის მიერ მოზიდული სახსრების კატეგორიის მიერ ერთდროულად გატანასთან დაკავშირებულ საბანკო რისკს წარმოადგენს. რისკის მაქსიმალური სიდიდე ერთ

კრედიტორზე, როგორც წესი, ბანკის საკუთარი კაპიტალის 25%-ს არ უნდა აჭარბებდეს. ამასთან, აღნიშნულ საკითხებში უკეთ გარკვევის მიზნით, ეროვნული ბანკის მიერ შესაბამისი დადგენილებებისა და პერიოდულად მათში შეტანილი ცვლილებების კონკრეტული განხილვა მიგვაჩნია უფრო მიზანშეწონილად.

ბანკის საკრედიტო პორტფელის დივერსიფიკაცია - საკრედიტო რისკის მინიმიზაციის მეთოდს წარმოადგენს, რომლის განხორციელება მსესხებლების სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით სესხების განაწილების, მიწოდების ვადების, უზრუნველყოფის სახეობის, საკრედიტო ინსტრუმენტების, რისკის ხარისხის, რეგიონების, საქმიანობის სახეობის, აგრეთვე დადგენილი შიდა ლიმიტების საფუძველზე რიგი სხვა ნიშნების მეშვეობით არის შესაძლებელი. რა თქმა უნდა, კრედიტების დივერსიფიცირება ბანკის საკრედიტო რისკის მინიმიზაციის ეფექტიან მეთოდს წარმოადგენს, მაგრამ საკრედიტო პორტფელის ზედმეტად დივერსიფიცირება რისკის მართვაში დამატებით სიძნელეებს ქმნის და მისი გართულების მიზეზებიც კი შეიძლება გახდეს შეფასებისას.

რისკების ნეიტრალიზაციის ერთ-ერთი მეთოდია რისკების დაზღვევა. ფინანსური რისკების დაზღვევა არის პროცესი, რომლის დროსაც სადაზღვევო ორგანიზაცია დაზღვეული ფირმის მიერ გარკვეული შენატანების ფასად ვალდე-ბულებას იღებს აუნაზღაუროს ფირმას ფინანსური რისკის წარმოქმნის შემთხვევაში გამოწვეული ზარალი (დანაკარგი). ფირმასა და სადაზღვევო ორგანიზაციას შორის იდება სადაზღვევო ხელშეკრულება. სადაზღვევო ორგანიზაციები აზღვევენ ფირმების შემდეგ ფინანსურ რისკებს: გაკოტრება, გაუთვალისწინებელი ხარჯები, სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობა, სასამართლო ხარჯები და სხვა. ამგვარად, იმ მოვლენათა სია, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ ფინანსური ზარალი, საკმაოდ ფართოა.

დასკვნა

1. პორტფელის ოპტიმიზაცია არის მნიშვნელოვანი მიმართულება ფინანსებში , მის მიზანს წარმოადგენს შემოსავლების მაქსიმიზაცია და იმავდროულად რისკის მინიმიზაცია ;
2. პორტფელური ინვესტიციების არსი მოიცავს ფინანსური აქტივების დაბანდებას ფასიანი ქაღალდების პორტფელის ამოცანებისა თუ მიზნის ფორმირებისთვის.ეს არის იმ წესების ერთობლიობა , რომლებიც გვეხმარება საინვესტიციო პორტფელის შექმნაში გარკვეული მახასიათებლებით, ისეთი როგორცაა თუნდაც შემოსავალი და რისკი . აღნიშნული თეორიის ძირითადი ამოცანა და მიზანია იპოვოს აქტივების ისეთი კომბინაცია, რომელიც მაქსიმალურად მიახლოებული იქნება ეფექტურობის ზღვართან , ანუ საინვესტიციო აქტივები კომბინირდება მომგებიანობისა და რისკის გათვალისწინებით ;
3. გარი მარკოვიცის მოდელის მიხედვით განისაზღვრება მაჩვენებლები , რომლებიც ახასიათებს ინვესტიციების მოცულობასა და რისკს , რაც საშუალებას გვაძლევს შევადაროთ სხვადასხვა ალტერნატიული პროექტები და შევაფასოთ ამ პროექტების ან აქტივების კომბინაციები ისე , რომ ჩამოყალიბდეს ოპტიმალური პორტფელი ;
4. მარკოვიცის თეორიის ძირითადი იდეა ის არის , რომ ფინანსური ინსტრუმენტებისგან მოსალოდნელი შემოსავალი , სტატისტიკურად იქნას განხილული ამ შემოსავლის მიღების რისკთან კავშირში;
5. საკრედიტო რისკი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მთავარი ფინანსური რისკია. საკრედიტო რისკი ნიშნავს იმის საშიშროებას, რომ მსხესხებელმა არ დააბრუნოს საერთოდ ან დროულად მის სახელზე არსებული

ვალდებულება, თუმცა საკრედიტო რისკის მიზეზი არ არის მხოლოდ კლიენტი, აღნიშნული შესაძლებელია გამოიწვიოს ასევე ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ, ცუდმა კონიუნქტურამ, რაც შეიძლება კლიენტის გადახდისუნარიანობის შემცირების ერთ-ერთი ფაქტორად მოგვევლინოს;

6. საბანკო რისკების მართვის პროცესის დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკრედიტო რისკის მართვის ეფექტურობა, ვინაიდან საბანკო რისკების 75-80%-ი საკრედიტო რისკზე მოდის. შესაბამისად, კაპიტალის ზომა, რომელსაც ბანკი ინარჩუნებს იმისათვის, რომ შეძლოს საკრედიტო რისკის დროს გამოწვეული დანაკარგების საწინააღმდეგოდ გამოყენება, ჩვეულებრივ სხვა სახის საბანკო რისკის სარეზერვო კაპიტალზე მეტია;
7. დივერსიფიკაცია - რისკის შემცირების ყველაზე გამართლებული და ნაკლებად ხარჯიანი გზაა, რომელიც წარმოადგენს კაპიტალის გადანაწილებას სხვადასხვა ინვესტირებად ობიექტებს შორის;
8. საკრედიტო პორტფელის რისკი წინასწარ უნდა იქნეს შეფასებული, რისთვისაც უნდა გამოიყენონ მაჩვენებლის სისტემა, ხოლო საკრედიტო პორტფელის რისკის მართვის ძირითადი მომენტი არის კრედიტის საერთო ღირებულება და მისი ხარისხის შეფასება;
9. იმისათვის, რომ შემუშავდეს და გაუმჯობესდეს საკრედიტო პორტფელის მართვა, უნდა დაინერგოს ახალი ტიპის საკრედიტო პროდუქტები, გაუმჯობესდეს მსესხებლის საკრედიტო ანალიზის ხარისხი, დაიყოს საკრედიტო პირობები სესხის გამოყენების და მსესხებლის შემოსავლების დონის მიხედვით, ამოქმედდეს სესხის რეგისტრაციისა და შემდგომი მომსახურების პროცედურები და შემცირდეს საკრედიტო რისკები სესხის მომსახურების პროცესში მონიტორინგის ხარისხის გაუმჯობესების გზით;

გამოყენებული ლიტერატურა :

1. “Portfolio Selection”- Harry Markowitz -The Journal of Finance, Vol. 7, No. 1. (Mar., 1952), pp. 77-91.
https://www.math.ust.hk/~maykwok/courses/ma362/07F/markowitz_JF.pdf
2. Portfolio Selection: Efficient Diversification of Investments - Harry M. Markowitz (2nd ed 1991, originally 1959)
<http://www.financepractitioner.com/contentFiles/QF01/hkzc4gpg/11/1/portfolio-selection-efficient-diversification-of-investments.pdf>
3. ПОРТФЕЛЬНЫЕ ИНВЕСТИЦИИ-М.В.Скрипниченко 2016/(ст 29-33)
4. ПОРТФЕЛЬНАЯ ТЕОРИЯ-МАТВЕЙ МОРГУН(2017)
<http://fintrain.ru/portfelnyaya-teoriya.html>
5. Курсовая работа: Портфельная теория Марковица – 2009
<https://www.bestreferat.ru/referat-202733.html>
6. Кредитная политика коммерческого банка – 2013
<http://www.incred.ru/pub/kreditnaya-politika-kommercheskogo-banka/44470/>
7. Banking system simulation -Zedda Stefano-“Credit Counterparty Risk” 2017 (p20- 25)
8. Методы управления риском кредитного портфеля банка
<http://bankworks.ru/view-article.php?id=122>
9. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3863>
10. რისკის მართვა - თენგიზ ვერულავა 2013
<http://eprints.iliauni.edu.ge/1351/1/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%>
11. https://chkhaidze.files.wordpress.com/2016/03/p-chaganava-riskebis-martva-1_000278.jpg
12. <https://vtb.ge/ge/individuals>
13. <https://vtb.ge/ge/about-the-bank/history-and-development>
14. https://works.doklad.ru/view/QMb9zaB_oFU.html
15. დებულება „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე“ - 2008 წლის 17 მარტი
16. <https://vtb.ge/file/get/1481/kZ57vwh8YkiTodXumiRO7Q>
17. <https://vtb.ge/file/get/2821/QPmx1jqz0kG3wigG4V3SWw>

18. ДИССЕРТАЦИЯ – Банных Александра Андреевна “ СОВЕРШЕНСТВОВАНИЕ СИСТЕМЫ УПРАВЛЕНИЯ РИСКАМИ РОЗНИЧНОГО КРЕДИТОВАНИЯ КОММЕРЧЕСКОГО БАНКА НА ОСНОВЕ МАТЕМАТИЧЕСКОГО МОДЕЛИРОВАНИЯ” – 2015
19. Магистерская диссертация :УПРАВЛЕНИЕ ПОРТФЕЛЬНЫМ КРЕДИТНЫМ РИСКОМ КОММЕРЧЕСКОГО БАНКА - М.А. Бельтюкова – 2017
20. КАЧЕСТВЕННАЯ ОЦЕНКА НАПРАВЛЕНИЙ ВЛИЯНИЯ МАКРОЭКОНОМИЧЕСКИХ ПОКАЗАТЕЛЕЙ НА УРОВЕНЬ КРЕДИТНОГО РИСКА КОММЕРЧЕСКОГО БАНКА - Акопян С.А
21. УПРАВЛЕНИЕ КРЕДИТНЫМИ РИСКАМИ В КОММЕРЧЕСКОМ БАНКЕ - Е.А. Учаева- 2014
22. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=494>
23. <http://www.deyatele.narod.ru/page/88.htm>
24. <https://cyberleninka.ru/article/v/analiz-vliyaniya-makroekonomicheskoy-sredy-na-uroven-kreditnogo-riska-kommercheskogo-banka>
25. <https://cyberleninka.ru/article/n/analiz-vliyaniya-makroekonomicheskoy-sredy-na-uroven-kreditnogo-riska-kommercheskogo-banka>